

# სამოქალაქო განათლების ტესტი

## ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

## ინსტრუქცია

### დავალება არჩევითი პასუხებით (№1-13, 25.1-25.3)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე, სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში, დასვით **X** ნიშანი. არც ერთი სხვა აღნიშვნა ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. გადასწორებულ პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, რომელი უფლებამოსილება არ გააჩნია პრეზიდენტს?
- ა) მსჯავრდებულთა შეწყალება;
  - ბ) მთავრობის მეთაურობა;
  - გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დანიშვნა;
  - დ) ორგანული კანონით დადგენილი წესით მოქალაქეობის საკითხების გადაწყვეტა.

**2. რომელი ნიშან-თვისებით არ ხასიათდება კაპიტალისტური ეკონომიკა?**

- ა) საქონელი ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების მიხედვით იწარმოება;
- ბ) საწარმოო ქონება უმეტესწილად კერძო საკუთრებაშია;
- გ) მეტი მოგების სურვილი მეწარმეობისა და შრომის მოტივაციას წარმოადგენს;
- დ) საწარმოო რესურსებს სახელმწიფო ცენტრალიზებულად ანაწილებს.

**3.** კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის რომელი მოდელი ხასიათდება მაღალი ასერტულობით და დაბალი პარტნიორობით?

ა) თანამშრომლობა;

ბ) შეგუება;

გ) კონკურენცია;

დ) კომპრომისი.

4. რომელი ევროპული სახელმწიფო არ წარმოადგენს, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ორგანიზებით, ფედერაციას?

ა) ბელგია;

ბ) იტალია;

გ) ავსტრია;

დ) გერმანია.

5. მოქალაქეობის შესახებ მსჯელობებიდან რომელი არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას?

ა) საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით ან ნატურალიზაციით;

ბ) საქართველოს მოქალაქის სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) საქართველოში სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა დაუშვებელია;

დ) საქართველოს მოქალაქის საქართველოდან გაძევება დაუშვებელია.

6. რა ეწოდება სარგებლიანობის პრინციპზე დაფუძნებულ მოძღვრებას, რომელიც პრაქტიკულ გარემოებებსა და მიზნებზეა ორიენტირებული?

ა) იდეალიზმი;


ბ) პრაგმატიზმი;

გ) თეიზმი;

დ) ნიჰილიზმი.



7. დიაგრამაზე წარმოდგენილია ამერიკელი აქტივისტის და პოლიტიკოსის დევიდ ნოლანის მიერ შექმნილი პოლიტიკური შეხედულებების სპექტრი. რა უნდა ეწეროს კითხვის ნიშნის ადგილზე?



- ა) კომუნისტური;
- ბ) მონარქისტული;
- გ) სოციალისტური;
- დ) ლიბერტიარიანიული.

- 8.** რომელი მსჯელობა შეესაბამება პარლამენტის წევრის თავისუფალი მანდატის ცნების შინაარსს?
- ა) პარლამენტის წევრი უფლებამოსილია, კითხვით მიმართოს მთავრობას;
  - ბ) ამომრჩევლის მიერ პარლამენტის წევრის ვადამდე გაწვევა დაუშვებელია;
  - გ) პარლამენტის წევრი შეიძლება ეწეოდეს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას;
  - დ) პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე ნებისმიერი მოქალაქე.

## 9. რას გულისხმობს შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპი?

ა) პარტიებს შორის საერთო კონსესუსის მიღწევას;

ბ) იერარქიული პრინციპის დაცვას პარტიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

გ) წინასაარჩევნო პროცესში პარტიებს შორის თანაბარი სასტარტო მდგომარეობის უზრუნველყოფას;

დ) პარტიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში პარტიის თითოეული წევრის ჩართულობის ხარისხსა და მეთოდებს.

**10.** რა ეწოდება ამა თუ იმ კულტურული ჯგუფის წევრების მხრიდან საკუთარი ადათ-წესების უნივერსალურ ჭრილში განხილვას და მათ საფუძველზე სხვა კულტურების განსჯას?

ა) რელატივიზმი;


ბ) პლურალიზმი;

გ) ეთნოცენტრიზმი;

დ) მულტიკულტურალიზმი.

- 11.** რომელი პოლიტიკური მოაზროვნის ნაშრომს უკავშირდება „ხელისუფლების დანაწილების“ თეორიის საფუძვლიანი დამუშავება, რომელმაც შემდგომ დიდი გავლენა მოახდინა ამერიკის დამფუძნებელი მამების ნააზრევზე?
- ა) თომას ჰობსის „ლევიათანი“;
  - ბ) ნიკოლო მაკიაველის „მთავარი“;
  - გ) შარლ ლუი დე მონტესკიეს „კანონთა გონი“;
  - დ) ჯონ სტიუარტ მილის „თავისუფლების შესახებ“.

## 12. დიაგრამა ასახავს სხვადასხვა ინსტიტუციის მიმართ საქართველოს მოქალაქეების ნდობას:



რომელი მსჯელობა არ შეესაბამება დიაგრამის მონაცემებს?

- ა) 2017 წელს ინსტიტუციების მიმართ ნდობის მაჩვენებელი 2008 წელთან შედარებით არ გაზრდილა;
- ბ) 2008 წლიდან 2017 წლამდე ინსტიტუციებს შორის ყველაზე მეტად ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ შემცირდა;
- გ) 2017 წელს პარლამენტის, სასამართლო სისტემისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ნდობის მაჩვენებელი თითქმის გაუთანაბრდა ერთმანეთს;
- დ) რელიგიური ინსტიტუციის მიმართ ნდობამ 2011-2017 წლებში ვარდნა განიცადა, ხოლო პოლიციის მიმართ ნდობა 2015-2017 წლებში გაიზარდა.

### 13. დავალებაში მოცემულია 2017 წელს საქართველოში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პროფესიული განვითარების შესახებ კვლევის შედეგები:

- სამუშაო აღწერილობების 74.3% აუცილებელ მოთხოვნად სამუშაო გამოცდილებას ასახელებს, თუმცა 40.6% არ აზუსტებს გამოცდილების ხანგრძლივობას; 9.6% ითხოვს მინიმუმ 1 წლის, ხოლო 9% - მინიმუმ 2 წლის სამუშაო გამოცდილებას.
- გამოცხადებული ვაკანსიების 47.7%-ისათვის აუცილებელი მოთხოვნაა საბაკალავრო განათლება, 4.3% - ისათვის სამაგისტრო; 18.6%-ს არანაირი კვალიფიკაცია არ ესაჭიროება.
- რესპოდენტთა 64.1% მუშაობის დაწყების წინაპირობად პრაქტიკულ ცოდნას ასახელებს; 44% - თეორიულ ცოდნას; 21.9% - ნაცნობს, რომელიც უზრუნველყოფს ვაკანსიაზე მიღებას.

#### მონაცემთა საფუძველზე გამოტანილი რომელი დასკვნაა მართებული?

- ა) დასაქმების ბაზარი ორიენტირებულია დაბალი საფეხურის განათლების მქონე პირთა დასაქმებაზე, რაც მაღალი ანაზღაურების შეთავაზების საფუძველია;
- ბ) სამუშაოს მაძიებლები პრაქტიკულ ცოდნას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, თუმცა დამსაქმებლისათვის ღრმა თეორიული ცოდნის არსებობა უფრო ღირებულია;
- გ) მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო გამოცდილების არსებობა დასაქმების შანსს ზრდის, მთავარი ფაქტორი ნაცნობის არსებობაა, რომელიც ვაკანსიაზე მიღებას უზრუნველყოფს;
- დ) დასაქმება შესაძლებელია ყოველგვარი კვალიფიკაციის გარეშეც, თუმცა დამსაქმებელთა უმრავლესობისათვის სამუშაო გამოცდილება აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.




## ინსტრუქცია

### თანმიმდევრობის დადგენა (№14)

დავალებაში მოცემული ჩამონათვალი დაალაგეთ მითითებული პრინციპის თანახმად. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

**14.** (1) სქემაზე მოცემული საქართველოს სამართლებრივი აქტები დაალაგეთ იერარქიული თანმიმდევრობით:



	3*			
--	----	--	--	--


\* ცხრილში მითითებულია სწორი პასუხი.

## ინსტრუქცია

### შესაბამისობის დადგენა (№15-17)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

15. (1) რუკაზე სხვადასხვა ფერით აღნიშნულია განსხვავებული მმართველობის ფორმის მქონე ოთხი ქვეყანა. II სვეტში მოცემული რუკის ლეგენდის ფერები შეუსაბამეთ I სვეტში მოცემულ მმართველობის ფორმებს:



I. მმართველობის ფორმა	II. რუკის ლეგენდის ფერი
ა. საპრეზიდენტო რესპუბლიკა	1. 
ბ. საპარლამენტო რესპუბლიკა	2. 
გ. კონსტიტუციური მონარქია	3. 
დ. აბსოლუტური მონარქია	4. 

**16.** (2) II სვეტში წარმოდგენილი მნიშვნელოვანი ისტორიული ფიგურები შეუსაბამეთ I სვეტში დასახელებულ პოლიტიკურ თეორიებს:

I. პოლიტიკური თეორიები	II. მნიშვნელოვანი ფიგურები
ა. კომუნიზმი	1. ჯეიმს მედისონი
ბ. პაციფიზმი	2. ადამ სმითი
გ. კაპიტალიზმი	3. ედმუნდ ბერკი
დ. ფედერალიზმი	4. მათ ძედუნნი
ე. კონსერვატიზმი	5. მაჰათმა განდი

**17.** (1) II სვეტში მოცემული ემბლემები შეუსაბამეთ I სვეტში დასახელებულ გაეროს გენერალური ასამბლეის პროგრამებსა და ფონდებს:

I. პროგრამები და ფონდები	II. ემბლემები	
<p>ა. გაეროს ბავშვთა ფონდი</p> <p>ბ. მსოფლიო სასურსათო პროგრამა</p>	<p>1. </p>	<p>4. </p>
<p>გ. გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა</p> <p>დ. გაეროს განვითარების ფონდი ქალთათვის</p>	<p>2. </p>	<p>5. </p>
<p>ე. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი</p>	<p>3. </p>	

## ინსტრუქცია

### შეცდომის გასწორება (№18)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და შეასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში (შეცდომა - I სვეტში, ხოლო შესწორებული ვარიანტი - II სვეტში). გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის შესწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

## 18. (7) ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

### საბჭოთა მმართველობის ძალადობრივი სისტემა

1918 წლის ოქტომბერში რუსეთში განვითარებული პოლიტიკური მოვლენის შემდეგ, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის სახელით არის ცნობილი, რუსეთის მმართველმა პარტიამ მალევე დაიწყო სხვადასხვა სოციალური ჯგუფების დევნა. მაგალითად, ხალხის მტრად გამოცხადდნენ მსხვილი მეწარმეები, ოპოზიციური პოლიტიკოსები და ერთი სიტყვით, ყველა, ვინც მენშევიკურ პარტიას უპირისპირდებოდა.

კომუნისტური იდეების განსახორციელებლად აუცილებელი გახდა დიდი ეკონომიკური რეფორმების გატარება. ამ რეფორმებს, რომლებიც გულისხმობდა მდიდარი მემამულეების ქონების კონფისკაციას, გეგმიურ ეკონომიკაზე გადასვლას და სწრაფ ინდუსტრიალიზაციას, მოჰყვა მოსახლეობაში მასობრივი შიმშილი. განსაკუთრებით ეს შიმშილი შეეხო უკრაინას, სადაც სხვადასხვა მონაცემით რამდენიმე მილიონი უკრაინელი შიმშილით გარდაიცვალა. ზოგიერთი ისტორიკოსის მიერ ეს მოვლენა მიჩნეულია არა უბრალოდ სასურსათო პოლიტიკის მარცხად, არამედ უკრაინელი ხალხის მასობრივი მოკვდინების აქტად. ეს კონკრეტული ისტორიული მოვლენა ჰომოფობიის სახელით არის ცნობილი.

საბჭოთა ხელისუფლება ხალხთა მასობრივ გადასახლებასაც არ ერიდებოდა. მაგალითად, მესხეთიდან მოხდა მკვიდრი მუსლიმი მოსახლეობის დეპორტაცია ცენტრალურ აზიაში. მსგავსი რამ საბჭოთა კავშირამდე, რუსეთის იმპერიაშიც მიღებული პრაქტიკა იყო. მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს რუსეთმა მასობრივად გადაასახლა ჩერქეზები სამშობლოდან. აღიარებულია, რომ მათ მიმართ დევნა ეთნიკური ნიშნით განხორციელდა.

*გადასვლა ტექსტის მეორე გვერდზე*



ამ გადასახლებას უამრავი ჩერქეზის სიცოცხლე შეეწირა. ტრაგედიის მასშტაბიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული მოვლენა 2011 წელს ოფიციალურად აღიარა ჰოლოკოსტად.

გადასახლებების გარდა, საბჭოთა კავშირში ინდულგენციების სხვა ფორმებიც არსებობდა: დახვრეტები, დაპატიმრებები. დაპატიმრებებს იმდენად მასშტაბური სახე ჰქონდა, რომ საჭირო გახდა შრომით-გამოსასწორებელი ბანაკებისა და კოლონიების მთავარი სამმართველოს შექმნა, რომელიც გეტოს სახელით არის ცნობილი. ეს სადამსჯელო სისტემა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული და ძალიან ბევრი ადამიანის სიცოცხლე სწორედ ამ ბანაკებში არსებულ მძიმე პირობებს ემსხვერპლა. მათ შორის იყო არაერთი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე.

ძალადობრივი ქმედებები ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვისთვისაც გამოიყენებოდა. რაიმე პუბლიკაციისა თუ ნაშრომის გამოქვეყნებამდე მას სპეციალური შემოწმება უნდა გაეგლო და თუკი კომისია მას უვარგისად მიიჩნევდა, ის არ გამოქვეყნდებოდა. სამწუხაროდ, სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი არბიტრაჟი შეეხო ძალიან ბევრ მხატვრულ თუ სამეცნიერო ნაწარმოებს, რომელთა გამოქვეყნებაც იკრძალებოდა საბჭოთა ეპოქაში.

*დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე*

## ინსტრუქცია

### შეცდომის გასწორება (№19)

დავალებაში მოცემულია ერთ თემასთან დაკავშირებული ორი ტექსტი. ტექსტები შესაძლოა შეიცავდეს ფაქტობრივ შეცდომებს. თქვენი ამოცანაა ტექსტების გააანალიზება, შეცდომების აღმოჩენა და ტექსტების შეფასება წინასწარ მოცემული სქემით განსაზღვრული კრიტერიუმებით. შეფასება ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

**19.** (6) დავალებაში მოცემულია ორი ტექსტი თემაზე „დემოკრატია და სამოქალაქო მონაწილეობა“. ტექსტები შესაძლოა შეიცავდეს ფაქტობრივ შეცდომებს. გაეცანით ტექსტებს, გააანალიზეთ მათი შინაარსი და შეაფასეთ ისინი შემოთავაზებული კრიტერიუმებით.

### I ტექსტი:

დემოკრატიულ სახელმწიფოში არჩევნების გზით ხელისუფლების პერიოდული ცვლებადობა გარკვეული მიზეზებით არის განპირობებული. ერთ-ერთი ასეთი მიზეზი საზოგადოებრივი აზრის ცვლილებაა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებაში ერთი და იმავე ადამიანებს დიდი ხნით არ ჰქონდეთ ძალაუფლება, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, რთული გახდება საზოგადოების მხრიდან მათი გაკონტროლება.

იმისთვის, რომ მოქალაქეებმა არჩევნებზე გაცნობიერებული არჩევნის გაკეთება შეძლონ, თავისუფალ და დემოკრატიულ სახელმწიფოში გარანტირებულია ადამიანის უფლება ინფორმაციის თავისუფლებაზე. თითოეულ მოქალაქეს აქვს არა მხოლოდ პასიური უფლება, ანუ მოიძიოს, მოიპოვოს და მიიღოს ინფორმაცია, არამედ აქტიურიც. საქართველოში ამ უფლების დაცვის უმთავრესი გარანტი კონსტიტუციაა. ამ უფლებით სარგებლობა შესაძლებელს ხდის მოქალაქის აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკაში.

საზოგადოებაში არსებული პრობლემებისა და საკითხების მოგვარებაში მოქალაქეთა ჩართულობას სამოქალაქო მონაწილეობა ჰქვია. გამოყოფენ მონაწილეობის სხვადასხვა საფეხურს, მათ შორის აზრის გაზიარებას, რომელიც არა მხოლოდ ინფორმაციის მიღებას, არამედ მის დამუშავებას და სხვებისთვის გაზიარებას გულისხმობს. სამოქალაქო მონაწილეობის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს ე. წ. გარე ინიციატივა, რაც გარე ჩარევის გარეშე მოქალაქეთა თვითორგანიზების უნარზე მეტყველებს.

## II ტექსტი:

დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალაქეები თავიანთი აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობით უდგენენ საკუთარ თავს სამართლებრივ ჩარჩოს. ისინი თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი პოლიტიკური ძალა იქნება ხელისუფლების სათავეში. ამისათვის ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში პერიოდულად ტარდება არჩევნები, რაც შესაძლებლობას აძლევს სხვადასხვა ხედვის მქონე პოლიტიკურ ჯგუფს მონაცვლეობით ცადოს საკუთარი ხედვის რეალიზება.

ქვეყნის დემოკრატიულობა ინფორმაციის თავისუფლების ხარისხითაც განისაზღვრება. ამ მხრივ საქართველოს კონსტიტუცია ძალზედ დემოკრატიულია, ვინაიდან ამ დოკუმენტის მიხედვით, ყველა ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გაავრცელოს ინფორმაცია, რაც მის პასიურ თავისუფლებაზე მიანიშნებს. ამ უფლებით სარგებლობს ყველა მოქალაქე, რაც აუცილებელ ელემენტს შეადგენს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური თანამონაწილეობისათვის.

სამოქალაქო მონაწილეობა სოციალურ გარემოში მრავალი პრობლემისა თუ საკითხის მოსაგვარებლად მოქალაქეთა ჩართულობას გულისხმობს. მონაწილეობის სხვადასხვა ხარისხი შეგვიძლია გამოვყოთ: ინფორმირება - ამა თუ იმ საკითხზე ინფორმაციის მიღება; კონსულტაცია; შიდა ინიციატივა - მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ზეწოლის გარეშე და პრობლემის განსაზღვრა-მოგვარება საკუთარი ძალებით.

გაეცანით შეფასების სქემას და ორივე ტექსტი შეაფასეთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით. დაწერეთ შესაბამისი ქულა შეფასების სქემის თითოეული კრიტერიუმისთვის ცალ-ცალკე:

	I. კრიტერიუმები	II. მაქსიმალური ქულა	III. ქულების მინიჭების პრინციპი
A.	არჩევნების პერიოდულობის მიზეზები	3	თითოეული სწორად <u>დასახელებული</u> მიზეზი - 1 ქულა
B.	ინფორმაციის თავისუფლების პასიური და აქტიური ასპექტები	2	თითოეული სწორად <u>დასახელებული</u> და <u>განმარტებული</u> ასპექტი - 1 ქულა
C.	სამოქალაქო მონაწილეობის საფეხური	5	თითოეული სწორად <u>დასახელებული</u> და <u>განმარტებული</u> საფეხური - 1 ქულა

თქვენ მიერ მინიჭებული ქულები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში:

		A	B	C
19.1	I ტექსტის შეფასება			
19.2	II ტექსტის შეფასება			

## ინსტრუქცია


**დავალება ღია დაბოლოებით (№20, 21, 22, 23, 24, 25.4-25.7)**

დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც სავარაუდო პასუხები არ ახლავს. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და კითხვა. პასუხი უნდა იყოს შეკითხვის ადეკვატური და კონკრეტული. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია თითოეული დავალების გასწვრივ.

**20.** (5) სქემა არასრულად ასახავს ადამიანის უფლებათა განვითარების საფეხურებსა და ისტორიას. შეავსეთ სქემის ცარიელი უჯრები:

	პოლიტიკური კატალიზატორი	განსაზღვრება	მაგალითები	საერთაშორისო დოკუმენტები
პირველი თაობა	საფრანგეთის რევოლუცია	სამოქალაქო პოლიტიკური	<b>20.1</b>	1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი
მეორე თაობა	ინდუსტრიალიზაცია კომუნიზმის ტალღა	<b>20.2</b>	განათლების უფლება შრომის უფლება	<b>20.3</b> 1966 წლის ...
მესამე თაობა	გლობალიზაცია	<b>20.4</b>	<b>20.5</b>	1972 წლის ადამიანის გარემოს შესახებ სტოკჰოლმის დეკლარაცია 1992 წლის გარემოსა და განვითარების რიოს დეკლარაცია

21. (3) მოცემულია მთლიანი შიდა პროდუქტის მსოფლიო რუკა 2014 წლის მონაცემებით. გაანალიზეთ რუკა და უპასუხეთ კითხვებს:





**21.1** რას ეწოდება მთლიანი შიდა პროდუქტი?

**21.2** რას აღნიშნავს რუკაზე ლეგენდის შავი ფერი?

**21.3** რუკის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია თუ არა დავასკვნათ, რომ მაღალი მთლიანი შიდა პროდუქტი დემოკრატიულობის მაღალი ხარისხის გარანტორია? პასუხი დაასაბუთეთ.

**22.** (5) დავალებაში მოცემულია სასკოლო პროექტის მიზნის, ამოცანებისა და მისი განხორციელების გზების არასრული ვარიანტი. იმისათვის, რომ სასკოლო პროექტის მოცემულმა ნაწილმა მიიღოს დასრულებული სახე, დავალებები შეასრულეთ შემდეგი თანმიმდევრობით:

- I. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ I ამოცანა, ცხრილში მოცემული განხორციელების გზების ჩამონათვალიდან გამომდინარე; *(დავალება 22.2)*
- II. დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა, რომლებიც თქვენი აზრით, ხელს შეუწყობს ცხრილში მოცემული II ამოცანის შესრულებას; *(დავალება 22.3)*
- III. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ პროექტის მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია პროექტის ორივე ამოცანისა და მათი განხორციელების გზებიდან გამომდინარე. *(დავალება 22.1)*

22.1	<p><b>პროექტის მიზანი:</b> (ჩაწერეთ მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მოცემული ამოცანებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე.)</p>
22.2	<p><b>პროექტის I ამოცანა:</b> (განსაზღვრეთ და ჩაწერეთ კონკრეტული ამოცანა, I ამოცანის განხორციელების გზებიდან გამომდინარე.)</p> <p><b>პროექტის II ამოცანა:</b> მოსწავლეებში კულტურული მრავალფეროვნების შესახებ პოზიტიური განწყობების ჩამოყალიბება.</p>
22.3	<p><b>I ამოცანის განხორციელების გზები:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ლექცია დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის შესახებ.</li> <li>2. შეხვედრა სახალხო დამცველთან.</li> <li>3. საკლასო პოსტერები: „დისკრიმინაციის მაგალითები მსოფლიო ისტორიაში“.</li> </ol> <p><b>II ამოცანის განხორციელების გზები:</b> (დაწერეთ მოცემული ამოცანის განხორციელების სამი სხვადასხვა გზა.)</p>

**23.** (3) გაეცანით ილუსტრაციას და უპასუხეთ კითხვებს:



წარწერა გერმანულ ენაზე: „ის არის დამნაშავე ომში!“

**23.1** რა შინაარსს ატარებს მოცემული ილუსტრაცია და რომელ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენს ბრალდებული?

**23.2** რა ეწოდება მსგავსი ტიპის ილუსტრაციების მასობრივად გავრცელებას და რა შედეგის მიღწევას ისახავს იგი მიზნად?

**23.3** რომელი ტერმინით აღინიშნება მოცემულ ილუსტრაციაზე გამოსახული რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა და იმსჯელეთ ამ დისკრიმინაციის ისტორიულ შედეგებზე.

## 24. (5) გაეცანით ტექსტს და შეასრულეთ დავალება ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:

„ერთგვარი მმართველობა იგია, საცა სახელმწიფო საჭიროების საქმესაც თვით მთავრობა განაგებს და საზოგადოებისასაც, ყველგან და ყოველს ნაწილში. ამ შემთხვევაში მთავრობა ყოველგვარის საქმის დამწყები და მოთავეა, ყოველგვარის საქმის მწარმოებელია, - ყოველის მზრუნველი და გამგეა, ასე რომ, ყოველივე მისგან წარმოსდგება და ყოველივე მასვე ერთვის. ამგვარად გამგეობისათვის მას თავისი საკუთარნი მოხელე-კაცნი ჰყვანან, რომელთაც თვით ირჩევს, თვით ნიშნავს, თვით გადააყენებს და რომელნი მხოლოდ მის წინაშე არიან პასუხისმგებელნი[...]

მეორე-გვარი მმართველობა იგია, საცა მთავრობას ხელთ უპყრია მარტო მთელის სახელმწიფოს საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია, მერე ასე, რომ ყოველს ნაწილს თვისნი ადგილობრივი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილნი. ეს საზოგადოების საჭიროების საქმენი, ადგილობრივად გადანაწილებულნი, განიგებიან უსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწეობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობრივ მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამავე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი არიან.“

„ცხოვრება და კანონი“, ილია ჭავჭავაძე, 1884 წელი

**24.1** ტექსტიდან გამომდინარე განსაზღვრეთ და დაასახელეთ სადისკუსიო თემა. იმსჯელეთ თქვენ მიერ შერჩეული სადისკუსიო თემის მოცემულ ტექსტთან შესაბამისობისა და აქტუალობის შესახებ;

**24.2** A. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის დასაცავად;

B. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის უარსაყოფად;

(თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი.)

## 25. (8) გაანალიზეთ მოცემული წყაროები და უპასუხეთ კითხვებს:

### წყარო N1

„ქალები ყველგან ამ სავალალო მდგომარეობაში არიან, რადგან მათი უმანკობის – როგორც თავაზიანად უწოდებენ უმეცრებას – შესანარჩუნებლად მათ ჭეშმარიტებას უმაღავენ; ისინიც იძულებულნი არიან, უკვე მანამდე მოირგონ ხელოვნური ხასიათი, სანამ მათი უნარები გაძლიერდება. მათ ბავშვობიდან ასწავლიან, რომ სილამაზით მიიღწევა ძალაუფლება, და მათი გონებაც სხეულს ერგება; და თავის მოოქროვილ გალიაში გამომწყვდეული მხოლოდ იმასღა ესწრაფვის, ეს საპყრობილე გაალამაზოს. მამაკაცების ყურადღება მიმართულია სხვადასხვა საქმიანობისა და მისწრაფებისკენ, რომლებიც მათ გონებას აყალიბებს. ხოლო ქალების ძირითადი საზრუნავი ერთი რაღაცის გარშემო ტრაილებს და ისინი გამუდმებით ფიქრობენ იმაზე, რაც მათში ყველაზე უმნიშვნელოა. ამიტომ მათი თვალსაზრისი იშვიათად სცილდება უშუალოდ აწმყო ინტერესებს. მაგრამ, თუ მათი აზროვნება ოდესმე გათავისუფლდება იმ მონობისგან, რომელშიც ისინი ჩააგდო, ერთი მხრივ, მამაკაცების ამპარტავნებამ და ავხორცობამ, და, მეორე მხრივ, საკუთარმა შეზღუდულმა მისწრაფებებმა, მაშინ, ალბათ, მათ სისუსტეზე აღარ ვისაუბრებთ.“

„ქალის უფლებების დაცვა“, მერი უოლსტონკრაფტი, 1759-1797

## წყარო N2

„როცა გოგო და ბიჭები ერთად თამაშობენ, მათ შორის არავითარი გონებრივი განსხვავება არა ჩანს. როცა წამოიზრდებიან და ერთის ნიჭსა და გონებას ისეთის საქმისთვის მიმართავენ, რომელთანაც მეორეს საერთო არაფერი აქვს, რასაკვირველია, რომ მათი აზროვნებაც სხვადასხვა მიმართულებას ღებულობს და თუ ასეთი გავლენა აქვს შრომის სპეციალიზაციას, საუკუნეობით სულიერ ცხოვრებას მოწყვეტილი ნახევარი კაცობრიობა, რომელშიც ცხოვრობდა მდედრობითი სქესი, რა გასაკვირია, რომ ჩამორჩენილი იყოს გონებრივად მამრობით სქესს, რომელიც ერთადერთი მმართველია კაცობრიობის ცხოვრებისა, თუმცა ერთობ ცალმხრივი მმართველიც. ჩვენ სწორედ ამისთვის ვიბრძვით, რომ მოისპოს ეს ხელოვნური სხვადასხვაობა სქესთა ინტელექტისა.“

„ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები“, კატო მიქელაძე, 6 მაისი, 1917 წელი



### წყარო N3

„დედათა სქესმა კაცობრიობის უკეთესთა წარმომადგენელთა თაოსნობით, ღვაწლით და გარჯით უკვე დაიმტკიცა უფლება უმაღლესის სწავლისა და განათლების მიღებისა და ეხლა მარტო ბრმანი და თვალახვეულნიღა ეურჩებიან ამ უფლებას. დედათა სქესმა დაიპყრა ამასთანავე ზოგიერთს სფეროში უფლება სახელმწიფო, თუ საზოგადო სამსახურისა და თუმცა აქ ბევრი რამ კიდევ დარჩენია დასაპყრობად, მაგრამ ეს პირველდაწყებითი ბიჯიც უმნიშვნელო არ არის შემდეგისათვის. იგი უსამართლობა, რომელიც დღეს აქამომდე დედათა სქესს, ამ ნახევარს მთელის კაცობრიობისას, საძიძაოდამ და სამზარეულოდამ გარეთ არ უშვებდა და ამათ გარე არავითარს საქმეში მონაწილედ არა ჰხდიდა, ასე რომ ლუკმაპურის საშოვარის გზასაც არ აძლევდა, დიდხანს ვეღარ გაუძლებს ერთხელ ფეხადგმულს მოძრაობას.“

„დედათა საქმე“, ილია ჭავჭავაძე, 1888 წელი

## წყარო N4

- რესპონდენტთა 64% აცხადებს, რომ ამჟამად საქართველოში გენდერული თანასწორობა არ არსებობს, იმავეს ფიქრობს ახალგაზრდების 68%;
- რესპონდენტთა 55%-ისთვის, 150 წევრიან პარლამენტში, 17 ქალი პარლამენტის წევრი ძალიან ცოტაა;
- რესპონდენტთა 70% მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტში ქალების რაოდენობა სულ მცირე 30% უნდა იყოს;
- რესპონდენტთა 68% ამბობს, რომ მხარს უჭერს პარლამენტის მიერ სავალდებულო გენდერული კვოტის შემოღებას;
- რესპონდენტთა ნახევარი მიიჩნევს, რომ ქალი პარლამენტის წევრების რიცხვის გაზრდა დადებით გავლენას იქონიებს ქვეყნის განვითარებაზე.

„ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში“, ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი, 2014 წელი

## 25.1 N4 წყაროს მიხედვით:

- ა) საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ფიქრობს, რომ ქვეყანაში გენდერული თანასწორობა არ არსებობს, თუმცა ახალგაზრდების უმრავლესობა საპირისპირო აზრზეა;
- ბ) ქალი პოლიტიკოსები დადებით გავლენას ახდენენ პოლიტიკაზე, ამიტომ მათი რაოდენობა პარლამენტში ყოველ წელს მნიშვნელოვნად იზრდება;
- გ) გენდერული კვოტირება გამოკითხულთა უმრავლესობისათვის მისაღებია, თუმცა მათი აზრით, პარლამენტში ქალი პოლიტიკოსები საერთო რაოდენობის მხოლოდ მეხუთედს უნდა წარმოადგენდნენ;
- დ) საზოგადოებაში არსებობს განცდა, რომ ქალი პოლიტიკოსების გააქტიურება დადებითი მოვლენა იქნება და ამისათვის კვოტირება კარგი ინსტრუმენტია.

## 25.2 კატო მიქელაძის აზრით:

- ა) ქალსა და კაცს შორის ბუნებრივი განსხვავების გამო მათი სოციალური სტატუსებიც განსხვავებულია;
- ბ) ზრდასრული ქალების კაცებისაგან ინტელექტუალური განსხვავებულობა განპირობებულია აღზრდის მიმართ კულტურაში არსებული სექსისტური დამოკიდებულებით;
- გ) ქალები არსობრივად ინტუიციურად აზროვნებენ, რაც განსხვავდება კაცების რაციონალური აზროვნების წესისაგან;
- დ) კაცები მოწყვეტილები იყვნენ სულიერ ცხოვრებას, რამაც მათი გრძნობების გაუხეშება გამოიწვია.

### 25.3 ილია ჭავჭავაძე მიიჩნევს, რომ:

- ა) ქალთა პოლიტიკური ჩართულობა კვლავ გარდაუვლად გაიზრდება;
- ბ) ქალები მეტწილად მიდრეკილები არიან საოჯახო საქმიანობისაკენ;
- გ) სწავლა-განათლება ქალებისთვის ხელმისაწვდომი მას მერე გახდება, რაც მათი პოლიტიკური მოღვაწეობა იქნება ნებადართული;
- დ) მსოფლიო ტენდენცია მსოფლიო კონტექსტს ითვალისწინებს და საქართველომ საკუთარი განვითარების გეზი უნდა აირჩიოს.

- 25.4** რას გულისხმობს მერი უოლსტონკრაფტი მეტაფორით „მოოქროვილი გალია“?
- 25.5** იმსჯელეთ, რა მიმართებაშია ერთმანეთთან მერი უოლსტონკრაფტისა და კატო მიქელაძის ნააზრევი.
- 25.6** რა პრობლემების წინაშე იდგნენ ქალები მეცხრამეტე საუკუნეში წყარო N3-ის მიხედვით და შეიცვალა თუ არა ამ პრობლემების აღქმა თანამედროვე საქართველოში წყარო N4-ის მიხედვით?
- 25.7** წყარო N4-ის მიხედვით დაასახელეთ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის მეთოდი და განმარტეთ იგი. იმსჯელეთ არგუმენტირებულად ამ მეთოდის ეფექტურობაზე.